

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №6

თბილისი

10 ივლისი, 2010 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორები: კახი ყურაშვილი, მაკა სალხინაშვილი, თამარ ჩიტოშვილი; ასოცირებული პროფესორები გიორგი თუმანიშვილი, დავით გეფერიძე, ასისიტენტ-პროფესორი ლევან მახარაშვილი, უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; სტუდენტები: სოსო მაზმიშვილი და ლაშა სალხინაშვილი.

სხდომის თავჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: სასწ. პროცესის კოორდინატორი ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომების დაცვის შედეგების განხილვა და მათთვის აკადემიური ხარისხების მინიჭება
2. თპუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის IV კურსის სტუდენტთა მიერ პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ((მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);
3. თპუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა და აგრეთვე, ამავე პროგრამის სტატუსშეჩერებული სტუდენტის ავთანდილ გიორგაძის, საბაკალავრო ნაშრომების დაცვის შედეგების განხილვა და მათთვის აკადემიური ხარისხების მინიჭება (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);

მოისმინეს:

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის საბჭოს 1.04.2010 წლის №3 გადაწყვეტილებით კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 5 კურსდამთავრებულს, რომელთაც მოაგროვეს პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი, დაუმტკიცდათ სამაგისტრო თემები და შესაბამისად მიეცათ ამ ნაშრომების დაცვის უფლება. ეს სტუდენტები არიან:

- ა) კარუნა დიმიტრი,
- ბ) გრძელიშვილი მაია,
- გ) ჯიბლაძე თინიკო,
- დ) პავლიაშვილი გიორგი,
- ე) მაზმიშვილი კონსტანტინე.

ასევე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიამ დადებითად შეაფასა, კერძოდ: დ. კარუნას და მ. გრძელიშვილს მიეცა შეფასება „მაღალ კარგი“, თ. ჯიბლაძეს – „დამაკმაყოფილებელი“ და კ. მაზმიშვილს – „საკმარისი“, ხოლო რაც შეეხება გ. პავლიაშვილის ნაშრომს, იგი სტრუქტურულად არ იყო გამართული. ამიტომ, კომისიის გადაწყვეტილებით საჭიროა ამ

ნაშრომის გადამუშავება და ისევ წარმოდგენა საჯარო დაცვაზე. არის წინადადება მიეცეს სტუდენტ გ. პავლიაშვილს 2010 წლის სექტემბრის პირველ კვირას ნაშრომის ხელახალი დაცვის საშუალება.

2. თქუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ IV კურსის სტუდენტებმა მეშვიდე სემესტრში შპს „მუდმივმოქმედ არბიტრაჟ აგორა“-ში გაიარეს სასწავლო პრაქტიკა (5 კრედიტი), რომლის პრეზენტაციის საშუალება მიეცათ მერვე სემესტრში იგივე კომისიაზე. სასწავლო პრაქტიკის დღიურები წარმოადგინეს და დადებითად შეუფასდათ შემდეგ სტუდენტებს:

- ა) აბაშიძე მარი,
- ბ) ფაცაცია სალომე,
- გ) შუბითიძე ალიონა,
- დ) ნიკურაძე ელისო,
- ე) ქართველიშვილი გიორგი,
- ვ) მაისურაძე ნინო,
- ზ) ვაშალომიძე ნათია.

3. თქუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის საბჭოს 1.04.2010 წლის №3 გადაწყვეტილებით სამართლმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რვა (აქედან, 7 – მეოთხე კურსის აქტიური და 1 სტასუს შეჩერებული სტუდენტი) კურსდამთავრებულს, რომელთაც მოაგროვეს პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი, დაუმტკიცდათ საბაკალავრო თემები და შესაბამისად მიეცათ ამ ნაშრომების დაცვის უფლება. ეს სტუდენტები არიან:

- ა) აბაშიძე მარი,
- ბ) ფაცაცია სალომე,
- გ) შუბითიძე ალიონა,
- დ) ნიკურაძე ელისო,
- ე) ქართველიშვილი გიორგი,
- ვ) მაისურაძე ნინო,
- ზ) ვაშალომიძე ნათია.

მომხსენებელმა კ. ყურაშვილმა აგრეთვე, ისაუბრა იმის შესახებ, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს გიორგაძე ავთანდილის, რომელმაც დააგროვა 230 კრედიტი და დაამუშავა სტუდენტის სტატუსის შეჩერებამდე დამტკიცებული საბაკალავრო ნაშრომის თემაც (10კრედიტი). მას სტუდენტის სტატუსი აღუდგა 2010 წლის 20 ივნისის №64/05 ბრძანებით. საჭიროა სხდომამ განიხილოს ა. გიორგაძის სკიოტი.

ასევე, მომხსენებელმა სხდომის წევრებს გააცნო სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილი შეფასების უწყისი, რომლის მიხედვითაც ყველა ნაშრომი და მისი პრეზენტაცია შეაფასებულ იქნა დადებითად. კერძოდ, მ. აბაშიძეს, ს. ფაცაციას, ა. შუბითიძეს, ე. ნიკურაძეს, გ. ქართველიშვილს, ნ. ვაშალომიძეს მიეცათ შეფასება – „კარგი“, ნ. მაისურაძეს – „დამაკმაყოფილებელი“ და ა. გიორგაძეს „საკმარისი“.

შედეგებიდან გამომდინარე, პირებს რომლებმაც დადებითად წარმატებით დაიცვეს სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები უნდა მიენიჭოთ შესაბამისად, მაგისტრისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხები, რისთვისაც საჭიროა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების მიღება.

აზრი გამოთქვას : ასოც. პროფესორებმა გ. თუმანიშვილმა და დ. გეფერიაძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

1. მიენიჭოთ კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი თჳს სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, რომლებმაც სწავლების პერიოდში დააგროვეს სასწავლო სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო 120 სასწავლო კრედიტი და დადებითად დაიცვეს სამაგისტრო ნაშრომები. ესენია:

- ა) კარუნა დიმიტრი,
- ბ) გრძელიშვილი მათა,
- გ) ჯიბლაძე თინიკო,
- დ) მაზმიშვილი კონსტანტინე.

2. ჩაეთვალოთ თჳს სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით მეშვიდე სემესტრში შპს „მუდმივმოქმედ არბიტრაჟ აგორა“-ში გავლილი სასწავლო პრაქტიკა IV კურსის სტუდენტებს და ანიშნული პროგრამის შესაბამისად მიენიჭოთ 5 კრედიტი შემდეგ სტუდენტებს:

- ა) აბაშიძე მარი,
- ბ) ფაცაცია სალომე,
- გ) შუბითიძე ალიონა,
- დ) ნიკურაძე ელისო,
- ე) ქართველიშვილი გიორგი,
- ვ) მაისურაძე ნინო,
- ზ) ვაშალომიძე ნათია.

3. მიენიჭოთ სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თჳს სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, რომლებმაც სწავლების პერიოდში დააგროვეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო 240 სასწავლო კრედიტი და დადებითად დაიცვეს საბაკალავრო ნაშრომები. ესენია:

- ა) აბაშიძე მარი,
- ბ) ფაცაცია სალომე,
- გ) შუბითიძე ალიონა,
- დ) ნიკურაძე ელისო,
- ე) ქართველიშვილი გიორგი,
- ვ) მაისურაძე ნინო,
- ზ) ვაშალომიძე ნათია
- თ) გიორგაძე ავთანდილი.

4. გიორგი პავლიაშვილს მიეცეს საშუალება 2010 წლის სექტემბრის თვეში ხელახლა წარმოადგინოს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაიცვაზე.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჳს ვებ-გვერდზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი:

კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე